



სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური
დირექტორის

ბრძანება № 02

2016 წლის 11 იანვარი

ქ. თბილისი

სეზონური სკოლების საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ

„სეზონური სკოლების საგრანტო კონკურსის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 26 ივნისის N77/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო გრანტებისა და პროგრამების უზრუნველყოფის, შეფასებისა და ანალიზის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის ქეთევან გაბიტაშვილის სამსახურებრივი ბარათის (N15720, 11.01.2016წ.) შესაბამისად

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს 2016 წლის სეზონური სკოლების საგრანტო კონკურსი 2016 წლის 11 იანვარს;
2. დამტკიცდეს 2016 წლის სეზონური სკოლების საგრანტო კონკურსის პროგრამა და პირობები ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად;
3. დამტკიცდეს 2016 წლის სეზონური სკოლების საგრანტო კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N2-ის შესაბამისად;
4. დამტკიცდეს საპროექტო წინადადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N3-ის შესაბამისად;
5. დამტკიცდეს პროექტის ბიუჯეტი და პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი ამ ბრძანების დანართი N4-ის შესაბამისად;
6. დამტკიცდეს პროექტის მონაწილის პროფესიული ავტობიოგრაფიის ფორმა ამ ბრძანების დანართი N5-ის შესაბამისად;

7. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება;

8. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე;

9. . ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

გიორგი ჟღენტი

გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

